ხელშეკრულება № 4/1-2011 (28/1142)

აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიაზე შესასვლელი პირადი საშვების დამზადების შესა

ქ. თბილისი

“05” იანვარი 2011 წელი.

ერთი მხრივ
სს “თბილისის საერთაშორისო აეროპორტი” წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით შემდგომში “შემსრულებელი”
და
მეორე მხრივ
<u>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u> წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ლევან დავითულიანის სახით შემდგომში “დამკვეთი”,
“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10₁ მუხლის მე-3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთისა და მისი თანამშრომლებისათვის სს “თბილისის საერთაშორისო აეროპორტის” საკონტროლო – სარეჟიმო ტერიტორიაზე შესასვლელი პირადი საშვების დამზადება.
2. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

<u>2.1. “შემსრულებელი” ვალდებულია:</u>

2.1.1. “დამკვეთის” განაცხადში მითითებული სიის მიხედვით გამოყოს პირადი საშვები.

2.1.2. აეროპორტის საკონტროლო სარეჟიმო ტერიტორიაზე შესვლამდე მოახდინოს პირადი საშვების მქონე პირების შემოწმება-დათვალიერება საავიაციო უშიშროების თვალსაზრისით.

<u>2.2. “დამკვეთი” ვალდებულია:</u>

2.2.1. გადაუხადოს “შემსრულებელს” მომსახურების გაწევის საფასური ხელშეკრულებებით დადგენილი ოდენობით და დადგენილ ვადებში;

2.2.2. ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში მიაწოდოს შემსრულებელს განაცხადის ფორმა, სადაც მითითებული იქნება იმ პირების მონაცემები, რომლებიც საჭიროებენ პირად საშვებს;

2.2.3. განაცხადის ფორმაში მითითებული პირების მონაცემები იყოს სრულყოფილი;

2.2.4. საშვის მფლობელის მიერ საშვის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოს საშვის ხელახალი გაცემის საფასური გადახდა;

2.2.5. დამკვეთი თანამშრომლის შეცვლის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი პირადი საშვის დაბრუნება.

2.3. <u>საშვები მზადდება 1 წლიანი, მაგრამ არაუმეტეს 31.12.2011. – მდე მოქმედების ვადით.</u>

მუხლი 3. ანგარიშსწორების პროცედურა და პირობები

3.1. “დამკვეთი” უნაზღაურებს “შემსრულებელს” მომსახურების საფასურს შემდეგი ოდენობით:

3.1.1. სარეჟიმო ტერიტორიაზე დასაშვები პირადი საშვის ღირებულებაა – 70 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.1.2. სარეჟიმო ტერიტორიაზე დასაშვები პირადი საშვის დაკარგვის შემთხვევაში საშვის ხელახალი დამზადების ღირებულებაა – 100 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.1.3. სარეჟიმო ტერიტორიაზე დასაშვებ პირად საშვში, საშვის ვადის გაგრძელების გარეშე, ზონის დამატება/ამოღების ღირებულებაა – 35 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

შემსრულებელი

დამკვეთი

3.1.4. გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე საანგარიშსწორებო თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

3.1.5. მომსახურების ღირებულების შეცვლის შემთხვევაში შემსრულებელი ატყობინებს დამკვეთს მომსახურების ახალ ღირებულებას ძალაში შესვლამდე 10 დღით ადრე, ახალ ფასებთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში ამოქმედდება 7.5 პუნქტი.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და საჯარიმო სანქციები

დამკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 5. სადაო საკითხთა გადაჭრის პირობები

ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორსმაჟორული სიტუაციები

6.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია მდგომარეობებით, რომელთა გათვალისწინება და გადალახვა გონიერი მეთოდებითშეუძლებელია (გადაულახავი ფორს-მაჟორული მდგომარეობებით), როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ტაიფუნი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები, სამხედრო მოქმედებები, მასიური დაავადებები (ეპიდემიები), გაფიცვები, სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები შეზღუდვებზე, ბლოკადა, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოების წარმოშობის, სახის და მოქმედების შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. ორს-მაჟორული გარემოებების დადგომა დასტურდება შესაბამისი ორგანოს მიერ. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეები ვალდებულები არიან მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების შემდგომი ბედის შესახებ. თუ მხარეები მიაღწევენ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას, თითოეულ მხარეს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, არცერთ მხარეს ამ შემთხვევაში არა აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს შესაძლო ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის <u>ორმხრივი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</u>

7.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება ვადის გასვლამდე, მხარეების თანხმობის საფუძველზე, შესაბამისი შეთანხმების ორმხრივად ხელმოწერით.

7.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხარეების შეთანხმების შემთხვევაში. მხარე, რომელიც მიიღებს სავარაუდო ცვლილებების პროექტს, ვალდებულია ათი დღის განმავლობაში განიხილოს და წერილობითი ფორმით მიაწოდოს პასუხი შეთავაზებულ ცვლილებებზე. მხარეების მიერ მიღებული ცვლილებები ასახება ხელშეკრულებაში დანართის სახით.

_____
შემსრულებელი

_____
დამკვეთი

7.4. ხელშეკრულებების ცვლილებები ითვლება მოქმედად და შედის ძალაში მხარეების მიერ შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში.

7.5. ხელშეკრულება ცალმხრივად შეიძლება შეწყვეტილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

7.5.1. თუ ერთ-ერთი მხარე ჯეროვნად არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს;

7.5.2. ფასების შეცვლისას მხარეებისა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში;

7.5.3. მხარის ინიციატივით; ამ შემთხვევაში გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გაეგზავნოს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე.

7.6. დასახელების, იურიდიული მისამართისა ან სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს ცვლილებები ცვლილებების განხორციელებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

7.7. ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ქ. თბილისში 2 (ორ) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. გზემპლარები იდენტურია და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ამასთან: ერთი ეგზემპლარი ეკუთნის "დამკვეთს", ხოლო მეორე – "შემსრულებელს".

7.8. ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს.

7.9. ხელშეკრულების საგანზე ყველა წინა ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკება მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებით ძალადაკარგულად ითვლება.

მუხლის 8. მხარეთა რეკვიზიტები

1. "შემსრულებელი":
სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"
მისამართი: საქართველოს, ქ. თბილისის სამგორის რაიონში აეროპორტი
ს.კ № 208144079 ტელ. 48 73 00
საბანკო რეკვიზიტები: სს "თი ბი სი ბანკი",
ბანკის კოდი: 220 101 830; ა/ა: GE 47 TB06 1553 6070 1000 01/ GE

2. "დამკვეთი:"

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4
საიდენტიფიკაციო კოდინ №203836322
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ეროვნული ბანკი,
ბანკის კოდი 220101107 ა.ა 20012290
ტელ: ---------, ფაქსი: ----------

_____ ქ. ალექსიძე

_____ ლ. დავითულიანი

შემსრულებელი

დამკვეთი

დამატებითი შეთანხმება №2
აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიაზე შესასვლელი
პირადი საშვების დამზადების შესახებ
2011 წლის 05 იანვრის №4/1-2011 (28/1142) ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **"17" მაისი 2011წ.**

ერთი მხრივ, **შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტი (აეროპორტის დასახლება) ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი" და

მეორე მხრივ, **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ.4; ს.კ №203 836 322) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ლევან დავითულიანის სახით, „დამკვეთი"

ვთანხმდებით შემდეგზე:
დამკვეთსა და სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტს" შორის 2011 წლის 05 იანვრის №4/1-2011 (28/1142) აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიაზე შესასვლელი პირადი საშვების დამზადების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") **შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

1. ხელშეკრულების **მე-3 მუხლის (ანგარიშსწორების პროცედურა და პირობები)** 3.1.4. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1.4. გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის ან ინვოისის ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საანგარიშსწორებო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვის ჩათვლით ვადაში."

2. ხელშეკრულების **მე-3 მუხლს (ანგარიშსწორების პროცედურა და პირობები)** დაემატოს 3.1.6. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

"3.1.6. გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშფაქტურის, ინვოისის ან მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენა წარმოებს შემსრულებლის მიერ საანგარიშო თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში."

3. ხელშეკრულების ყველა სხვა დებულება რჩება უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
5. წინამდებარე შეთანხმება ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
6. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**
ქეთევან ალექსიძე დირექტორი	ლევან დავითულიანი მინისტრის მოადგილე